



# სამაგალითო დასჯა

საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე  
ადამიანური შედეგები



## მოკლე მიმოხილვა

2016 წლის თებერვალში 23 წლის მუსიკოსმა და დი-ჯეიმ კოტე ჯაფარიძემ თავის ორ მეგობართან ერთად 2 გრამი MDMA შეიძინა. MDMA სარეკრეაციო სინთეზური ნარკოტიკია, რომელიც მოქმედებს როგორც სტიმულატორი და ჰალუცინოგენი, იწვევს რა დროისა და აღქმის დეფორმაციას. 2 გრამი 10 დოზის სამყოფი მოცულობა იყო და ჯაფარიძე და მისი მეგობრები ამ ნარკოტიკის მიღებას საერთო მეგობრის დაბადების დღეზე აპირებდნენ, შემდეგ კი გართობის გაგრძელებას ღამის კლუბში გეგმავდნენ. პოლიციამ ჯაფარიძე და მისი 2 მეგობრიდან ერთ-ერთი იმავე დღეს, დღისით, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებამდე დააკავა. პოლიციამ ჯაფარიძე დააპატიმრა და ბრალად დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა წაუყენა, რაც 8-დან 20 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. „წარმოდგენა არ მქონდა, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს ჩავდიოდი; უბრალოდ, გართობა გვინდოდა,“ უთხრა ჯაფარიძემ Human Rights Watch-ს. ამ მკაცრი სასჯელის შემსუბუქების ერთადერთი გზა პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება იყო, რასაც ჯაფარიძე დათანხმდა და საბოლოოდ მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, საიდანაც 5 წელი პირობითად ჩაითვალა. სასამართლომ მას 25,000 ლარის (დაახლოებით \$10,800) ჯარიმაც დააკისრა.

ექვსი თვის შემდეგ ჯაფარიძე პრეზიდენტის შეწყალების აქტით გათავისუფლდა. თუმცა ნასამართლობის შედეგებს ის დღემდე იძვის. ჯაფარიძეს, როგორც ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებულს, ავტომატურად ჩამოერთვა მართვის მოწმობა და აეკრძალა საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება, ასევე სხვადასხვა პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლება 5 წლის ვადით. ჯარიმა წარმოუდგენლად დიდი იყო მისი სამწევრიანი ოჯახისთვის. ოჯახი იძულებული იყო აეღო სესხი, რომელსაც ჯაფარიძე დღემდე იხდის. „ეს ყველაფერი საშინელი უსამართლობაა. მე არ ჩამიდენია სახიფათო ან ძალადობრივი დანაშაული და არც ადრე ნასამართლობა მქონდა. ნარკოტიკი პირადი მოხმარებისთვის შევიძინე. მიუხედავად ამისა, მძიმე ფასის გადახდა მიწევს.“

\*\*\*

2012 წელს 30 წლის ვანო მაჭავარიანი პოლიციამ საკუთარი ქორწინების წინა დღეს დააპატიმრა. მაჭავარიანი წინასაქორწინო წვეულებაზე მიდიოდა, როდესაც პოლიციამ

გააჩერა და მისგან 2 დოზა, ანუ 0.00172 გრამი ჰალუცინოგენი ნარკოტიკული საშუალება LSD ამოიღო. ამოღებული ნარკოტიკი განსაკუთრებით დიდ ოდენობად შეფასდა და სასამართლომ მაჭავარიანს 9 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა. მისი ქორწინება ჩაიშალა, თავად მაჭავარიანმა კი, 2017 წლის ოქტომბერში პრეზიდენტის შეწყალების აქტით გათავისუფლებამდე, ციხეში 5 წელი გაატარა. მაჭავარიანს ნარკოტიკული საშუალება პირადი მოხმარებისთვის ჰქონდა, მაგრამ საქართველოში მსგავსი ქმედებისთვის მძიმე სასჯელის დაკისრება იშვიათობა არ არის.

\*\*\*

ეს მხოლოდ 2 მაგალითია იმ უამრავი ისტორიიდან, რომლებიც საქართველოს მკაცრ ნარკო-კანონმდებლობასა და პოლიტიკას ასახავს, რადგან ეს პოლიტიკა წამლდამოკიდებულებასთან ბრძოლაში პრიორიტეტს სისხლის სამართალს ანიჭებს და არა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ორიენტირებულ მიდგომებს. არალეგალური ნარკოტიკების მოხმარება-გასაღებასთან ბრძოლაში საქართველოს ხელისუფლება აქტიურად იყენებს სისხლისსამართლებრივ დევნას, რაც ხშირად ხანგრძლივი პატიმრობით და უზარმაზარი ჯარიმებით მთავრდება იმ ადამიანებისთვის, ვისაც სხვისთვის არაფერი დაუშავებია და მათ პირადი მოხმარების მიზნით შეიძინეს მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალება.

მართალია, ნარკოტიკის მომხმარებლების პრევალენტობაზე ოფიციალური მონაცემები არ არსებობს, მაგრამ ექსპერტთა მიერ ჩატარებული კვლევებით ჩანს, რომ ნარკოტიკის ინექციური მომხმარებლების რაოდენობა საქართველოში იზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ ნარკოპოლიტიკის გარკვეული ლიბერალიზაცია მოახდინა, არსებული პოლიტიკა მაინც ზედმეტად მკაცრია. ქვეყნის კანონმდებლობა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, ან პირადი მოხმარების მიზნით შექმნა/შენახვას, როგორც წესი, სისხლისსამართლებრივ დანაშაულად მიიჩნევს, რასაც მკაცრი შედეგები მოყვება. წინამდებარე ანგარიშში ასახულია ამ პოლიტიკის მძიმე ადამიანური ეფექტი, მასში აღწერილია მკაცრ სასჯელზე ორიენტირებული ნარკო-კანონმდებლობისა და პრაქტიკის შედეგები, მათ შორის არაპროპორციულად ხანგრძლივი საპატიმრო სასჯელები და უზარმაზარი ჯარიმები; თვითნებური ნარკოტესტირება; იძულებითი საპროცესო შეთანხმებები; აგრეთვე, ისეთი უფლებების ავტომატურად/ბლანკეტურად

შეზღუდვა, როგორცაა სატრანსპორტო საშუალების მართვის ან სხვადასხვა ტიპის საქმიანობის განხორციელების უფლება.

წინამდებარე ანგარიში ემყარება 85 სიღრმისეულ ინტერვიუს, რომლებიც 2016 წლის მაისიდან 2018 წლის ივნისამდე ჩატარდა ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულ ადამიანებთან, მათ ადვოკატებთან და ოჯახის წევრებთან, სოციალურ მუშაკებთან, სათემო ორგანიზაციების ლიდერებთან, ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სხვადასხვა უფლებადამცველ და არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

\*\*\*

საქართველოში მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვის ან მოხმარების პირველადი ფაქტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება. ერთი წლის განმავლობაში იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა კი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მცირე ოდენობებს ნარკოტიკული საშუალებების თითქმის სამი მეოთხედისთვის. მათ შორისაა საქართველოში გავრცელებული ისეთი ნივთიერებები, როგორებიცაა ამფეტამინი, მეთამფეტამინი და დეზომორფინი. ამ ნივთიერებების უმცირესი ნაწილაკები, მათ შორის შპრიცში აღმოჩენილი ნარჩენიც კი, ავტომატურად ითვლება დიდ ოდენობად და სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით მინიმუმ ხუთწლიან პატიმრობას ითვალისწინებს. ამ ნივთიერებების 1 გრამზე მეტი ოდენობით შენახვა კი „განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია“, რასაც შედეგად, შესაძლოა, სამუდამო პატიმრობაც მოყვეს.

ზოგ შემთხვევაში ნარკოტიკების პირადი მოხმარების მიზნით შენახვა შეიძლება უფრო ხანგრძლივი ვადით პატიმრობას ითვალისწინებდეს, ვიდრე ისეთი ძალადობრივი დანაშაულები, როგორცაა მკვლელობა (7-დან 15 წლამდე პატიმრობა) ან გაუპატიურება (6-დან 8 წლამდე).

ყოველ წელს პოლიცია თვითნებურად აკავებს ათასობით ადამიანს იძულებითი ნარკოტესტირების ჩასატარებლად. პოლიციას ფართო უფლებამოსილება გააჩნია, გააჩეროს ადამიანები ქუჩაში და იძულებით გადაიყვანოს ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, თუ არსებობს „საკმარისი საფუძველი“ ვარაუდისთვის, მათ შორის პოლიციის ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაცია, რომ ადამიანი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. ტესტირებაზე ნებაყოფლობით გადაყვანაზე უარის

თქმის შემთხვევაში პოლიცია უფლებამოსილია, პირი 12 საათით ჰყავდეს დაკავებული საექსპერტო დაწესებულებაში. კანონმდებლობით, ტესტირებაზე იძულებით გადაყვანილი პირი ვერ სარგებლობს იგივე უფლებებით, რაც სხვა დაკავებულებს გააჩნია, მაგალითად, როგორცაა სატელეფონო ზარის განხორციელების უფლება. ეს ზრდის პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ალბათობას. ნარკოტიკის პრობლემური მომხმარებლები და ნარკოდამაულში ადრე მხილებული პირები განსაკუთრებით დაუცველები არიან პერიოდული, იძულებითი ნარკოტესტირებისგან.

საქართველოს კანონმდებლობა ხანგრძლივ მინიმალურ სავალდებულო სასჯელს აწესებს ნარკოდანაშაულებისთვის; ასეთ დანაშაულებზე გამამტყუნებელი განაჩენების მაჩვენებელი კი თითქმის 100%-ს აღწევს. შედეგად, ნარკოდანაშაულში ბრალდებულისთვის ხანგრძლივი პატიმრობის თავიდან აცილების ერთადერთი გზა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაა. ამ საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმებას კი ხშირად არა მარტო პატიმრობა, არამედ ძალიან დიდი ჯარიმები მოყვება შედეგად, რამაც შეიძლება უმძიმესი ფინანსური გავლენა იქონიოს მსჯავრდებულსა და მის ოჯახზე.

ნარკოდანაშაულზე გამამტყუნებელი განაჩენი ასევე ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას და სხვადასხვა ტიპის საქმიანობის განხორციელების უფლების შეზღუდვას. უფლებების შეზღუდვების ხანგრძლივობა პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ 3-დან 20 წლამდე შეიძლება გრძელდებოდეს. ასეთი შეზღუდვები ბევრ ადამიანს საარსებო შემოსავლის გარეშე ტოვებს და ხელს უწყობს ნარკომომხმარებლების მეტ სტიგმატიზებას და იზოლირებას.

### **„ნულოვანი ტოლერანტობიდან“ ნაწილობრივ ლიბერალიზაციამდე**

საქართველოში ნარკომანიასთან ბრძოლის პოლიტიკის და პრაქტიკის ზოგიერთი ყველაზე მკაცრი კომპონენტი 2006 წელს იქნა მიღებული, როდესაც მაშინდელმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა“ გამოაცხადა ყველა დანაშაულის, მათ შორის ნარკოდანაშაულის მიმართ.

ნარკომომხმარებლების მიმართ ასეთი მკაცრი მიდგომის გამოყენებამ შესაძლოა შეამცირა ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალების, მაგალითად, ჰეროინის ხელმისაწვდომობა, მაგრამ იგივე ეფექტი ვერ იქონია ზოგადად ნარკომომხმარებელთა რიცხვზე. პირიქით, ზოგიერთი მონაცემის თანახმად, პრობლემური, ანუ მაღალი რისკის შემცველი ნარკომომხმარებლის ფაქტებმა იმატა, და ასეთი ადამიანების რაოდენობა 2009 წლიდან 2017 წლამდე 40,000-დან 52,500-მდე გაიზარდა.

2012 წლის ოქტომბერში, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, საქართველოს ახალმა მთავრობამ აღიარა, რომ საჭირო იყო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკის, მათ შორის ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია. საკანონმდებლო ცვლილებებით შემცირდა სისხლის სამართლებრივი სანქციები ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვაზე. მთავრობამ მიიღო ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელშიც ხაზი გაესვა საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის, ზიანის შემცირების პროგრამების და ნარკომომხმარებლების მიმართ სტიგმისა და დისკრიმინაციის დაძლევის მნიშვნელობას. თუმცა, ამ სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ნაბიჯებიდან ბევრი არ გადადგმულა.

2015 წლის შემდეგ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. მათი უმეტესობა საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილმა სარჩელებმა განაპირობა. საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელმაც მარიხუანის შენახვისთვის საპატიმრო სასჯელის გამოყენება არაკონსტიტუციურად ცნო, პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილება განახორციელა 2017 წლის ივლისში და გააუქმა სასჯელის ეს ზომა 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანას შეძენა-შენახვისთვის.<sup>1</sup> თუმცა, ამ ნივთიერების შენახვისთვის მსჯავრდებულ ყველა პირს მაინც დარჩება ნასამართლეობა და ჩამოერთმევა ავტომობილის მართვის და მთელი რიგი პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლებები.

2015 წლის გადაწყვეტილებამ ბიძგი მისცა სხვა საკონსტიტუციო სარჩელებს არსებული დასჯაზე ორიენტირებული ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ, განსაკუთრებით, რეკრეაციული ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებით. 2017 წლის ნოემბრის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განტვირთვის ფორმის შერჩევა, მათ შორის მარიხუანის მოხმარების გზით, ადამიანის უფლებაა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ქმედება, თუ ის რისკს ან საფრთხეს არ უქმნის სხვა ადამიანს, სისხლის სამართლებრივ დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს. ამ გადაწყვეტილების გარგმელებად შეიძლება ჩაითვალოს 2018 წლის ივლისის ბოლოს მიღებული, ახალი გადაწყვეტილება, რომელმაც გააუქმა ყველა სახის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მარიხუანას მოხმარებისთვის. თუმცა, უნდა

---

<sup>1</sup> როგორც ქვემოთ არის აღნიშნული, 5 გრამამდე მარიხუანის შენახვის გამოვლენის პირველი შემთხვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება; ამ დანაშაულის განმეორებით ჩადენა ერთი წლის განმავლობაში სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუმცა სანქციად არ მოყვება პატიმრობა.

ადინიშნოს, რომ სასამართლოს არ უმსჯელია მარიხუანას შეძენა-შენახვაზე, რაც კვლავ სისხლის სამართლის კოდექსით რეგულირდება.

2017 წლის ივნისში პარლამენტის რამდენიმე წევრმა ფართო კანონპროექტი დააინიცირა პარლამენტში, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ნარკოტიკული საშუალებების პირადი მოხმარების, აგრეთვე მათი მცირე ოდენობით შეძენა-შენახვის დეკრიმინალიზაციას ითვალისწინებს. კანონპროექტი „საქართველოს ნარკოპოლიტიკის ეროვნულმა პლატფორმამ“ შეიმუშავა, რომელიც არასამათავრობო ჯგუფების, ექსპერტებისა და აქტივისტების ფართო კოალიციას წარმოადგენს. კანონპროექტი ემყარება ჯანდაცვაზე ორიენტირებულ მიდგომას, რომლითაც მკაფიოდ არის გაცხადებული, რომ პრობლემურ ნარკომომხმარებლებს დახმარება სჭირდებათ და არა ციხეში გამოკეტვა და სტიგმატიზაცია.

ერთი საკომიტეტო მოსმენის შემდეგ, საქართველოს პარლამენტში ამ კანონპროექტის განხილვა შეწყდა და როგორც ჩანს, მთავრობამ ნარკოპოლიტიკის ძირეული რეფორმირების გეგმები შეაჩერა.

### **დეკრიმინალიზაციისკენ მოწოდება**

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება არღვევს ადამიანის ავტონომიურობის პატივისცემის და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და ასევე ეწინააღმდეგება სასჯელის პროპორციულობის პრინციპს. პრაქტიკაში, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგება აგრეთვე არღვევს ნარკომომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვის უფლებას. ზიანი, რასაც ამ კანონების აღსრულება აყენებს ნარკომომხმარებლებს, მათი ოჯახის წევრებს და ფართო საზოგადოებას, შეიძლება ადამიანის უფლებათა დამატებით, ცალკე დარღვევებს წარმოადგენდეს.

მკაცრმა სისხლისსამართლებრივმა პასუხისმგებლობამ ძალიან მცირე (თუ საერთოდ რაიმე) სარგებელი მოაქვს. ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების კრიმინალიზება არ არის საზოგადოების უსაფრთხოების ეფექტიანი პოლიტიკა. Human Rights Watch-ისთვის უცნობია რაიმე ემპირიული მონაცემი, რომლითაც დადასტურდება ნარკოტიკულ დანაშაულის ჩამდენი პირების მიერ რაიმე სხვა, მძიმე დანაშაულის ჩადენას. სახელმწიფოებს სხვა ბერკეტები გააჩნიათ იმ ზიანთან და რისკებთან გასამკლავებლად, რაც ნარკოტიკის მოხმარებას შეიძლება ახლდეს თან.



ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების კრიმინალიზაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნებისთვისაც კონტროლდებულია. მკაცრი სისხლისსამართლებრივი ნარკოპოლიტიკის მიუხედავად, ბოლო ათწლეულში ნარკოტიკების მოხმარება, ფაქტობრივად, იზრდება. ადამიანებისთვის, ვინც ნარკოდამოკიდებულებას ებრძვის, არსებული ნარკოპოლიტიკა, ხშირად ნიშნავს დაპატიმრება-გათავისუფლების ციკლებს და ნებაყოფლობითი მკურნალობის ძალიან შეზღუდულ ან საერთოდ არანაირ ხელმისაწვდომობას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აგრეთვე საფრთხეს უქმნის ნარკომომხმარებელთა ჯანდაცვის უფლებას, უბიძგებს რა მათ მალვისკენ. ეს ხელს უშლის ჯანდაცვის და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისებით სარგებლობას, რაც ამ ადამიანებისთვის დაავადებებით და ზოგჯერ, ფატალური ზედოზირებით მთავრდება.

დროა, საქართველომ გადახედოს არსებულ სისხლისსამართლებრივ ნარკოპოლიტიკას. მიუხედავად ზუსტი მონაცემების არარებობისა, ის უზარმაზარი რესურსები, რაც იხარჯება იმ ადამიანების გამოვლენაზე, დაპატიმრებაზე, გასამართლებაზე, მსჯავრდებაზე, თავისუფლების აღკვეთასა და ზედამხედველობაზე, რომელთა ერთადერთი დანაშაული უკანონო ნარკოტიკული საშუალებების შენახვა, ან მოხმარებაა, ნამდვილად ვერ ჩაითვლება სწორ დანახარჯებად და უფრო ზიანის მომტანია, ვიდრე სასარგებლო.

ნარკოტიკების მცირე ოდენობით შენახვისა და მოხმარების დეკრიმინალიზაცია არ ნიშნავს იმ ზიანზე თვალის დახუჭვას, რაც ნარკოდამოკიდებულებას მოაქვს მომხმარებლებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის. პირიქით, ეს მოითხოვს მეტ ფოკუსირებას ნარკოტიკების პრობლემური მოხმარების პრევენციის ეფექტიან ღონისძიებებზე, თანმდევი ზიანის შემცირებაზე და იმ ადამიანების მხარდაჭერაზე, ვისაც ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლება სურს. და ბოლოს, ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობით ვერ მიიღწევა და ამის ნაცვლად, დამატებით ზიანს და ზარალს აყენებს ასეთ ადამიანებს. დროა, საქართველომ შეცვალოს ნარკოტიკების მოხმარების მიმართ დამოკიდებულება.

## რეკომენდაციები

პრინციპული მოსაზრებებიდან გამომდინარე, Human Rights Watch-ი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალებების პირადი მოხმარებისა და პირადი მოხმარების მიზნით ფლობისთვის. იმისთვის, რომ მოხდეს ნარკოტიკების საზიანო მოხმარების შეზღუდვა, პრევენცია და მკურნალობა, Human Rights Watch-ი მოუწოდებს ხელისუფლებებს, მათ შორის საქართველოს ხელისუფლებას, არ დაეყრდნონ სისხლის სამართლის რეგულირებას და გამოიყენონ ჯანმრთელობის დაცვაზე ორიენტირებული მიდგომები, რომლებიც არ ლახავს ადამიანის უფლებებს და ამცირებს სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე დამოკიდებულებას.

Human Rights Watch-ი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გააუქმოს ნარკოტიკების პირადი მოხმარების და პირადი მოხმარების მიზნით ფლობისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ნარკოტიკების პირადი მოხმარების და პირადი მოხმარების მიზნით ფლობის დეკრიმინალიზაცია ნიშნავს მოხმარებასა და ფლობაზე ყველა სისხლის სამართლებრივი სასჯელის გაუქმებას. ეს არ არის მოწოდება ლეგალიზაციისკენ, რადგან ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და პირადი მოხმარების მიზნით ფლობა შეიძლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად დარჩეს, რისვისაც სანქციის სახით შესაძლოა გათვალისწინებული იყოს ჯარიმა. ხელისუფლების მხრიდან მეტი ფოკუსირება უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეფექტიან ღონისძიებებზე, რომლებიც ნარკოდამოკიდებულების პრევენციასა და დაძლევაზე და თანმდევი ზიანის შემცირებაზე იქნება ორიენტირებული.

### საქართველოს მთავრობას და პარლამენტს:

- განახორციელოთ ინიცირება და მხარდაჭერა იმ საკანონმდებლო ცვლილებებისა, რომლითაც მოხდება მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვის დეკრიმინალიზაცია; ამ ქმედების განმეორებითი ჩადენა არ უნდა იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ან სხვა სახის თავისუფლების აღკვეთას, თუ არ არსებობს რაიმე სხვა დამამძიმებელი გარემოება.
- დეკრიმინალიზაციის განხორციელებამდე, მთავარმა პროკურატურამ გამოსცეს ახალი გაიდლაინები პროკურორებისთვის და მოუწოდოს მათ, გამოიყენონ საკუთარი დისკრეცია და არ დაიწყონ სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირთა

მიმართ, რომლებიც ბრალდებულნი არიან ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის, ან პირადი მოხმარების მიზნით მცირე ოდენობით შეძენა-შენახვისთვის.

- ასევე, დეკრიმინალიზაციამდე მაქსიმალურად მოხდეს არასაპატიმრო სასჯელის გამოყენება ნარკოტიკული საშუალებების პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვაზე; შეწყდეს პატიმრობის მინიმალური სავალდებულო ვადის გამოყენება ნარკოტიკული საშუალებების იმ ოდენობით შეძენა-შენახვისთვის, რაც არ წარმოადგენს დიდ და განსაკუთრებით დიდ ოდენობას; მიეცეს მოსამართლეებს შესაძლებლობა, შეუფარდონ ბრალდებულებს პროპორციული სასჯელები ნარკოტიკული ნივთიერებების ფლობის ყველა საქმეში.
- გადახედეთ ნარკოტიკული ნივთიერებების არსებულ ოდენობებს იმგვარად, რომ მოექცეს ისინი გონივრულობის ფარგლებში; ოდენობების ფარგლები გამოყენებული უნდა იქნეს როგორც ზოგად გაიდლაინებად და არა მკაცრ გამყოფ ხაზად იმის დასადგენად, თუ რა ითვალისწინებს და რა არა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.
- სწრაფად, სრულყოფილად და ეფექტიანად გამოძიეთ სამართალდამცავების მიერ იძულებითი ნარკოტესტირების დროს უფლებამოსილების გადამეტების და არასათანადოდ მოპყრობის სავარაუდო შემთხვევები.
- უარი თქვით იძულებითი ნარკოტესტირების არსებულ პრაქტიკაზე. ნარკოლოგიური ტესტირების ჩატარება შეიძლება მოეთხოვოს იმ პირებს, რომლებიც დაკავებულები არიან ისეთი სახის დანაშაულის სავარაუდოდ ჩადენის გამო, როგორცაა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა; მნიშვნელოვანია, რომ ასეთ დროს პირს მიეცეს შესაძლებლობა, სრულად ისარგებლოს სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულის უფლებებით.
- გააუქმეთ ისეთი დამატებითი სასჯელები, რომლებიც ნარკოტიკული დანაშაულის გამო მსჯავრდებულ პირებს უკრძალავს ავტომობილის მართვას და უზღუდავს სხვადასხვა პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლებებს. ნებისმიერი ასეთი სანქცია, მისი დაკისრების შემთხვევაში, უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს ჩადენილ სამართალდარღვევას და იყოს მისი პროპორციული, მაგალითად, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვა.
- მხარი დაუჭირეთ ნარკოტიკების მოხმარების მიმართ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიდგომებს, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები, შემცირდეს ნარკოტიკებზე

დამოკიდებულება, ხელი შეეწყოს ნარკოტიკის მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებას და გაიზარდოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა. გამოყავით საკმარისი თანხები ნებაყოფლობითი მკურნალობის და ზიანის შემცირების სერვისების უზრუნველყოფისთვის როგორც ზოგადად ქვეყნის მოსახლეობისთვის, ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

- ჩაატარეთ საინფორმაციო კამპანიები საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის, რომლებითაც მოხდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიდგომების პოპულარიზაცია და საზოგადოების ინფორმირება ნარკოტიკების მოხმარების რისკებსა და შედეგებზე.
- შეაგროვეთ და დაამუშავეთ ისეთი მონაცემები, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარკოპოლიტიკაზე სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, მათ შორის: ნარკოდანაშაულის გამო დაპატიმრებულ პირთა რაოდენობა (დანაშაულის სახეობის, ნარკოტიკული ნივთიერების ტიპის და ოდენობის, ასევე, კანონდამრღვევთა სქესის მიხედვით), ნარკოტიკულ დანაშაულზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები დანაშაულის სახეობების მიხედვით, ჯარიმების მოცულობა და სასჯელების ხანგრძლივობა, ასევე, ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებული პატიმრების რაოდენობა დანაშაულის სახეობების და სასჯელების მიხედვით.
- შეაგროვეთ და დაამუშავეთ მონაცემები ჯანდაცვაზე ორიენტირებული კვლევის გზით, რომლითაც შეფასდება მოსახლეობაში ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების დონე, მათ შორის, მოხმარების ტიპი, მოხმარების ხანგრძლივობა, მოხმარების დაწყება და მკურნალობა.